ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

თავმჯდომარის ბრძანება

ბრძანება:**ბ119. 11925315001**

თარიღი:**11/11/2025**

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის ჩატარების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და „წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #6 დადგენილებით დამტკიცებული წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, მე-20 მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ჩატარდეს წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომა 2025 წლის 11 ნოემბერს, ქ. წალკა, არისტოტელეს ქ. №22-ში, 12:00 სთ-ზე, შემდეგი დღის წესრიგით:

ა) საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და ფრაქცია „ხალხის ძალის" დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

ბ) სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის, ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" და ფრაქცია „ხალხის ძალის" დასკვნები დადგენილების პროექტზე „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი